



**ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში**

**ცვლილებები საგადასახადო კოდექსში**

იანვრის თვეში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები არ შესულა. მხოლოდ გარკვეული ცვლილებები ამოქმედდა 1 იანვრიდან, რომელთა შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს დეკემბრის თვის საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვაში.

**ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებში**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №14 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების თანახმად ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოებს წარმოემვათ დამატებული ღირებულების გადასახდის დეკლარაციის შესაბამისი ფორმის შევსების ვალდებულება სტატუსის ამოწურვის ან ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში.

ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №13 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში.

**ცვლილებები შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებებში**

➤ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის N33543 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს შესახებ“.

მეთოდური მითითება განმარტავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საქმიანობის წესებს, მათ შორის, ნებადართული და აკრძალული საქმიანობის, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესებს, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ სტატუსის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებებსა და უფლებებს.

➤ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 29 დეკემბრის N33544 ბრძანებით დამტკიცდა მეთოდური მითითება ”ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“

„ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“ მეთოდური მითითება განმარტავს პირისათვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ წესებს, ასევე, განსაზღვრავს ამ სტატუსის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებებსა და უფლებებს.

➤ ცვლილება შევიდა „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 17 მარტის №7536 ბრძანებაში.

ცვლილების მიხედვით ბრძანების №9 დანართის მე-2 ნაწილს დაემატა №6 მაგალითი, რომელიც არეგულირებს ლიზინგის საგნის მიმღები მხარის ჩანაცვლების შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის საკითხს დღგ-ს ნაწილში.

**ცვლილება სიტუაციურ სახელმძღვანელოებში**

2023 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვანელოები:

საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა - N1517

სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის დაბეგვრა - N2432

კაპიტალის შემცირება - N2549

კაპიტალის გაზრდა - N2550

## მეთოდოლოგიური ჰაბი - infohub.rs.ge

2022 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სიახლე, ახალი საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბის შესახებ. 2023 წლის პირველი იანვრიდან ხელმისაწვდომი გახდა infohub.rs.ge. ეს არის უახლესი, ციფრული მოთხოვნების შესაბამისი, საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი, რომელიც ჯერჯერობით სატესტო რეჟიმში მუშაობს. მისი დახმარებით, ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაცია კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება, ხოლო თავად ინფორმაციის მიღების პროცესი მნიშვნელოვნად გამარტივდება.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული საინფორმაციო ბაზა - Infohub ხელს შეუწყობს სისტემური და ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის არსებობას, ის შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირს მოიძიოს, დაამუშავოს და გააზიაროს მისთვის საინტერესო ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

## სხვა საკანონმდებლო სიახლეები

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

2023 წლის 3 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა. მითითებული ნორმის თანახმად, მოსამართლეს ეძლეოდა უფლება არ მიეღო სარჩელი წარმოებაში, თუ არ იქნებოდა დაცული სარჩელის ფორმალური გამართულობა, მიუხედავად დაშვებული ხარვეზის ხასიათისა. ამგვარად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ჩანაწერი მოსამართლეს ანიჭებდა უფლებას, უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და იგი უკან დაებრუნებინა მოსარჩელისათვის, იმისდა მიუხედავად თუ რა ტიპის ხარვეზი იქნებოდა დაშვებული მასში.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორების შემდეგ მოსარჩელეს კვლავ შეუძლია სასამართლოსადმი

იმავე სარჩელით მიმართვა, საკონსტიტუციო საჩივრის ავტორის აზრით ეს იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას, აჭიანურებს პროცესს და პირს უკარგავს სასამართლო დავის წარმოების ინტერესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საჩივრის ავტორის პრეტენზიები და განმარტა, რომ სრულყოფილი სარჩელის წარსადგენად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მოთხოვნათა საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელთა დარღვევაც, შესაძლოა, განსხვავებულ გავლენას ახდენდეს სარჩელის სრულფასოვნებასა და სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, წარდგენილ სარჩელში დაშვებული იყოს იმ ტიპის შეცდომა რომლის გამოსწორებაც ფაქტობრივად გაუთანაბრდეს ახალი სარჩელის წარდგენას ან არსებობდეს ისეთი ხარვეზი, რომელიც დაზუსტებადი/გამოსწორებადია მხარესთან მარტივი კომუნიკაციის მეშვეობით. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად სარჩელში დაშვებული შეცდომის ტიპისა სადავო ნორმა ბლანკეტურად ითვალისწინებს სარჩელის განსახილველად არმიღებას, რითაც იზღუდება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაზუსტებად სარჩელებთან მიმართებით სადავო ნორმით დადგენილი წესი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვისა თუ პროცესის ეკონომიურობის მიზნის მიღწევას. პირიქით, დაშვებული შეცდომის მხარესთან კომუნიკაციის გზით მარტივად გამოსწორების ნაცვლად, სადავო ნორმის საფუძველზე სასამართლოს უწევს ჯერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული განჩინების მიღება, ხოლო შესწორებული სარჩელის წარდგენის შემდგომ, მის განსახილველად მიღების საკითხზე ხელახალი მსჯელობა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ამგვარი მოწესრიგება აბრკოლებს სასამართლოსათვის მიმართვას და პირის უფლებათა ეფექტურად დაცვას.

სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობასთან ერთად, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება გადავადდა 2023 წლის პირველ ივლისამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მიეცეს გონივრული ვადა გადაწყვეტილების იმპლემენტაციისთვის საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად.

ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო

## ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 იანვრის №33 დადგენილებით ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა ჯამურად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარით, მანამდე არსებული 1000 ლარის ნაცვლად.

დადგენილებით მხოლოდ საჯარო სკოლის მასწავლებლები განისაზღვრნენ იმ პირებად, რომელთაც ზემოაღნიშნულ დახმარებასთან ერთად უფლება ექნებად მიიღონ დამატებითი ანაზღაურება შვებულებების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად (ამასთანავე შვებულების პერიოდზე გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშება მოხდება თანამდებობრივი სარგოს და დანამატების საფუძველზე).

მნიშვნელოვანია, რომ დადგენილების მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ დასაქმებულებზე,

რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან ისარგებლებენ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით, ბავშვის მოვლის გამო შვებულებითა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით, კერძოდ დადგენილების მოქმედება გავრცელდება ა) ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების პერიოდზე 2023 წლის 1 იანვრიდან გახსნილი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე; ბ) ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდზე 2023 წლის 1 იანვრიდან ბავშვის დაბადების შემდეგ პერიოდზე; გ) ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდზე, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძველზე 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ამასთანავე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 2 თებერვლის №7/5 ბრძანების მიხედვით ჯამური დახმარების ოდენობა გამოითვლება ორივე დასაქმებული მშობლის მიერ შვებულების გამოყენების შემთხვევაში, გამოყენებული დღეების პროპორციულად ან ერთ-ერთი დასაქმებული მშობლის მიერ შვებულების გამოყენების შემთხვევაში.

### Contact information

Bakertilly Georgia  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.